საკანონმდებლო სიახლეების

ცნობარი

(2021 წლის ივლისი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2021 წლის ივლისის თვეში.

საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“

2021 წლის 12 ივლისს, საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კანონში „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე განსხვავებული რედაქციით ჩამოყალიბდა კანონის რამდენიმე მუხლი, მათ შორის:

1. კანონს დაემატა 25^2 მუხლი - შენობა-ნაგებობის ფუნქციონირება ექსპლუატაციაში მიღების გარეშე, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

“1. დაუშვებელია შენობა-ნაგებობის ფუნქციონირება ამ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ შესაბამისი აქტის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოცემამდე.

2. დაუშვებელია ექსპლუატაციაში მიუღებელი შენობა-ნაგებობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით მომარაგება.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება ექსპლუატაციაში მიუღებელი შენობა-ნაგებობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvilist. #22. Batumi, Georgia
Beliashvilist. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

გაზით მომარაგებაზე სამშენებლო საქმიანობისთვის, რომელიც არ უნდა სცდებოდეს შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადას.

4. ექსპლუატაციაში მიუღებელი შენობა-ნაგებობის სამშენებლო საქმიანობისთვის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით მომარაგებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიული აქტით.";

2. კანონს დაემატა 103[3] მუხლი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების დროებითი წესი, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი შინაარსით:

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო უფლებამოსილია ექსპლუატაციაში მიიღოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მშენებლობადამთავრებული შენობა-ნაგებობა.

ექსპლუატაციაში მიღება ეხება იმ ობიექტს, რომელზედაც გაცემულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მშენებლობის ნებართვა და რომლის მშენებლობა, 2020 წლის 18 აგვისტოს მდგომარეობით, დამთავრებულია, აგრეთვე იმ ობიექტს, რომელზედაც მშენებლობის ნებართვა გაცემული არ არის, თუმცა იგი დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის/განაშენიანების დეტალური გეგმის არეალშია განთავსებული და მისი მშენებლობა, 2020 წლის 18 აგვისტოს მდგომარეობით, დამთავრებულია.

დაინტერესებულმა პირმა ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უნდა მიმართოს ამ მუხლის ამოქმედებიდან 2 წლის ვადაში.

ზემოაღნიშნული კანონის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 240110000.05.001.020351

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2021 წლის 28 ივლისს.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvilist. #22. Batumi, Georgia
Beliashvilist. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“

2021 წლის 12 ივლისს საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კანონში „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, კანონს დაემატა მნიშვნელოვანი მუხლები, რომლებიც არეგულირებს შენობა-ნაგებობის ფუნქციონირებას ექსპლუატაციაში მიღების გარეშე და აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლის თანახმადაც დაუშვებელია შენობა-ნაგებობის ფუნქციონირება ამ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ შესაბამისი აქტის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოცემამდე და დაუშვებელია ექსპლუატაციაში მიუღებელი შენობა-ნაგებობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით მომარაგება.

აღნიშნულ კანონში განხორციელებული დამატებები ასევე არეგულირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების დროებით წესს, რომლის თანხმადაც მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია ექსპლუატაციაში მიიღოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მშენებლობადამთავრებული შენობა-ნაგებობა, მათ შორის, შენობა-ნაგებობების კომპლექსის დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი მშენებლობადამთავრებული ობიექტი, რომელზედაც გაცემული იყო მშენებლობის ნებართვა და რომლის მშენებლობა წარმოებულია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით (მათ შორის, განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ცვლილებით, ფუნქციური ზონირების დარღვევით) ან შეუსაბამო მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული მუხლი, გარდა ზემოაღნიშნულისა სხვა მნიშვნელოვან საკითხებს არეგულირებს, რომელზედაც სამშენებლო სექტორში მოღვაწე ან მშენებლობით დაინტერესებული პირების მხირდან, მნიშვნელოვანია რომ ყურადღება იქნეს გამახვილებული.

ზემოაღნიშნული კანონის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 200000000.05.001.020360

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2021 წლის 27 ივლისს.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvilist. #22. Batumi, Georgia
Beliashvilist. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“

2021 წლის 22 ივლისს, საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, კანონის რამდენიმე მუხლი ფორმირდა შემდეგი რედაქციით:

206-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „ჰ5“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ჰ5) სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული, სახელმწიფო ორგანოს ან/და მუნიციპალიტეტის მიერ უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონება, რომელიც გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში ან/და საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების გასაწევად;“;

ბ) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. დადგენილი საგადასახადო შეღავათი არ ვრცელდება პირის მიერ იჯარით, უზუფრუქტით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით სხვა პირისთვის გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (ან მის ნაწილზე) ან/და საწარმოს/ორგანიზაციის მიერ ამავე ფორმით გადაცემულ შენობა-ნაგებობებზე (ან მათ ნაწილზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უძრავ ქონებას გადასცემს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და გადაცემული უძრავი ქონება გამოიყენება უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების გასაწევად.“.

ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჰ5“ ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მოქმედება გავრცელდება 2020 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ზემოაღნიშნული კანონის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 200000000.05.001.020360

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2021 წლის 22 ივლისს.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvilist. #22. Batumi, Georgia
Beliashvilist. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №90/04

2021 წლის 14 ივლისს, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებაში №90/04. აღნიშნული ცვლილებებით ბრძნების საფუძველზე დამტკიცებული გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულება განსხვავებული რედაქციით ჩამოყალიბდა, კერძოდ:

დებულების მე-3 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„5. გადამხდელის პროვაიდერმა არ უნდა შეასრულოს გადარიცხვის ოპერაცია, თუ მას გადამხდელის მიმართ არ გაუტარებია ვერიფიკაციის პროცედურები „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის და მის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული ვერიფიკაციისა და დოკუმენტაციის/ინფორმაციის შენახვის მოთხოვნების შესაბამისად, შემდეგ შემთხვევებში:

ა) გადარიცხვის ოპერაციის თანხა ან დაკავშირებული გადარიცხვის ოპერაციების ჯამური თანხა აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს, ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში; ან

ბ) გადამხდელისგან თანხის მიღება განხორციელდა ნაღდი ფულით ან ანონიმური ელექტრონული ინსტრუმენტით; ან

გ) არის ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ეჭვი.

6. ამ მუხლით განსაზღვრული გადარიცხვის ოპერაციებისთვის დადგენილი გადამხდელის შესახებ მონაცემების ვერიფიკაცია უნდა განხორციელდეს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის და მის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.“.

2. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. მიმღების პროვაიდერმა არ უნდა დააკრედიტოს მიმღების ანგარიში ან არ უნდა გახადოს ხელმისაწვდომი თანხა მიმღებისთვის, თუ მას მიმღების მიმართ არ გაუტარებია ვერიფიკაციის პროცედურები „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის შესაბამისად მიღებული

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvilist. #22. Batumi, Georgia
Beliashvilist. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული ვერიფიკაციისა და დოკუმენტაციის/ინფორ-მაციის შენახვის მოთხოვნების შესაბამისად, შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ ჩარიცხვის თანხა ან დაკავშირებული ჩარიცხვების ჯამური თანხა აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს, ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში; ან

ბ) ფულადი გზავნილის ნაღდი ფულით გატანისას ან ანონიმურ ელექტრონულ ინსტრუმენტზე გადატანისას;

გ) თუ არის ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ეჭვი.“.

3. მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. მიმღების პროვაიდერმა უნდა დანერგოს ეფექტური, რისკზე დამყარებული პროცედურები, რომელიც, მათ შორის, მოიცავს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რისკზე დამყარებულ მიდგომას და რომლის საფუძველზეც პროვაიდერი განსაზღვრავს არასრული თანმხლები ინფორმაციით მიღებული ჩარიცხვების შესრულების, უკან დაბრუნების ან მიმღების ანგარიშზე ჩარიცხვის/მიმღებისთვის ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობის შეჩერების საკითხებს, ასევე აღნიშნულ ჩარიცხვებთან დაკავშირებით პროვაიდერის შემდგომი ქმედებების საკითხებს (მათ შორის, გადამხდელის ან შუამავალი პროვაიდერისგან ამ დებულებით განსაზღვრული ინფორმაციის გამოთხოვას).“.

ზემოაღნიშნული ბრძანების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 220010040.18.011.016570

აღნიშნული ბრძნება ამოქმედდა 2021 წლის 14 ივლისს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №98/04

2021 წლის 14 ივლისს, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvilist. #22. Batumi, Georgia
Beliashvilist. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის №37/04 ბრძანებით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნა საკანონმდებლო ცვლილებები და აღნიშნული ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე იგი ჩამოყალიბდა განსხვავებული რედაქციით. აღნიშნული ცვლილებებიდან და დამატებებიდან უნდა აღინიშნოს ის, რომ ბრძანებით განისაზღვრა ის თუ რას აღნიშნავს მნიშვნელოვანი წილი (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა), ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა/აქციონერთა ჯგუფი და ა.შ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბრძანებით ასევე შეიცვალა კლიენტის მიერ ელექტრონული აპარატის მეშვეობით განხორციელებული ვალუტის გადაცვლის ჯამური ოპერაციების მოცულობის მაქსიმუმი დღის განმავლობაში, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის, ელექტრონული აპარატის მეშვეობით ვალუტის გადაცვლის ოპერაციის განხორციელების დროს სპეციალური პროგრამული საშუალებით წარმოებულ ციფრულ მონაცემთა ბაზის და სხვა მარეგულირებელი მუხლები.

შეიძლება ითქვას, რომ ბრძანებაში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაზეც ამ სექტორში მოღვაწე პირთა მიერ უნდა იქნეს ყურადღება გამახვილებული.

ზემოაღნიშნული ბრძანების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 220090000.18.011.016579

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 15 ივლისს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №104/04

2021 წლის 15 ივლისს, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და მათი დირექტორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 5 თებერვლის №17/04 ბრძანებაში. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, განსხვავებულად რედაქტირდა ბრძანება, კერძოდ:

ბრძნების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvilist. #22. Batumi, Georgia
Beliashvilist. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

„დ) ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში – 7 000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ ყადაღასთან მიმართებაში;“.

ზემოაღნიშნული ბრძანების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 220090000.18.011.016580

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 16 ივლისს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №312

2021 წლის 30 ივნისს, ცვლილებები განხორციელდა „აწარმოე საქართველოში სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში. აღნიშნული ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე მნიშვნელოვნი ცვლილებები განიცადა დადგენილებამ და განსხვავებულად ფორმირდა.

ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტერმინთა განმარტების მუხლი, რომელშიც რიგი ტერმინები განსხვავებული სახით ჩამოყალიბდა, ამასთანავე ცვლილებები შეეხო განგრძობადი სავრაუდო პროდუქტის, კვალიფიციური ხარჯის, პროგრამის კოორდინაციასა და პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებაზე ზედამხედველობის, პოგრამაში ჩართვის მსურველ მეწარმე სუბიექტთა რეგისტრაციის, აუდირებული დასკვნის წარდგენის ფორმისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მარეგულირებელი მუხლები. გარდა ცვლილებებისა, დადგენილებას ასევე დაემატა რამდენიმე მუხლი, რომელიც უფრო დეტალურად არეგულირებს პროგრამაში ჩართვის მიზნით, მეწარმე სუბიექტის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკში ანგარიშის გახსნის ვალდებულებას და ბენეფიციარის სხვა რიგი ვალდებულებების მარეგულირებელი მუხლები, რომელზეც დაინტერესებულ პირთა მიერ აუცილებალდ უნდა იქნეს ყურადღება გამახვილებული.

ზემოაღნიშნული დადგენილების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 240140000.10.003.022867

აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა 2021 წლის 15 ივლისს.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvilist. #22. Batumi, Georgia
Beliashvilist. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს მთავრობის დადგენილება №333

2021 წლის 7 ივლისს „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილებაში განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებების და დამატებების საფუძველზე განსხვავებული რედაქციით ჩამოყალიბდა დადგენილება.

ზემოაღნიშნული ცვლილებები შეეხო ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების მარეგულირებელ მუხლებს, ტერმინთა განმარტების მუხლს, სახელმწიფო კონტროლის მიზნებისა და მექანიზმების განსაზღვრის, სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ძირითადი პრინციპების, ინსპექტირების სახეების და მიმართულებების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მარეგულირებელ მუხლებს.

უნდა აღინიშნოს, რომ დადგენილებაში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ თითოეული დაინტერესებული პირის მიერ დეტალურად იქნეს განხილული და დამუშვებული აღნიშნული ცვლილებები.

ზემოაღნიშნული დადგენილების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 270000000.10.003.022888

აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა 2021 წლის 9 ივლისს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №347

2021 წლის 13 ივლისს, ცვლილებები განხორციელდა სამორინეს მოწყობისათვის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთებისა და შეღავათების დადგენის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 11 ივლისის №250 დადგენილებაში. აღნიშნული

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvilist. #22. Batumi, Georgia
Beliashvilist. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ცვლილებების საფუძველზე განსხვებული რედაქციით ჩამოყალიბდა ბრძანების რამდენიმე მუხლი, კერძოდ:

დადგენილების პირველ მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:

„4. ქ. თბილისის ტერიტორიაზე 2021 წლის 5 ივლისიდან 2022 წლის 1 იანვრამდე გაცემული სამორინეს მოწყობის ნებართვისათვის პირველი წლის სანებართვო მოსაკრებელი განისაზღვროს 2 500 000 ლარის ოდენობით.

5. ქ. თბილისის ტერიტორიაზე 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 5 ივლისამდე გაცემული სამორინეს მოწყობის ნებართვისათვის პირველი წლის მომდევნო წლის სანებართვო მოსაკრებელი განისაზღვროს 2 500 000 ლარის ოდენობით.“

ზემოაღნიშნული დადგენილების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 210070000.10.003.022902

აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა 2021 წლის 14 ივლისს.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvilist. #22. Batumi, Georgia
Beliashvilist. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge